*ფასს 16 ანაცვლებს არსებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (იჯარა), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).*

კომპანია მოქმედებს როგორც მეიჯარე და არ მოქმედებს როგორც მოიჯარე, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### **ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები**

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები წარმოადგენს სააღრიცხვო მოდელს, რომელიც აფასებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებს ფულადი ნაკადების და საკონტრაქტო მომსახურების მარჟის (სმმ) შესრულები საფუძველზე. სმმ განისაზღვრება სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებისათვის. სადაზღვევო კომპანიები ვალდებულები იქნებიან მოახდინონ თავიანთი საქმიანობის უფრო დაწვრილებით აღრიცხვა. ეს ამალღებს ახალი და არსებული ბიზნესის მომგებიანობის შესადარისობასა და გამჭვირვალობას და მეტ ინფორმაციას აწვდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს დამზღვევის ფინანსურ მდგომარეობაზე. ანდერრაიტინგისა და ფინანსური შედეგების განცალკევებული პრეზენტაცია უფრო გამჭვირვალეს გახდის მოგების წყაროებსა და შემოსავლების ხარისხს. მზღვეველს შეუძლია აირჩიოს სააღრიცხვო განაკვეთისა და სხვა ფინანსური რისკების ცვლილების ეფექტის ჩვენება მოგების ან ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მერყეობის შესამცირებლად. გადაზღვევის ხელშეკრულება პირდაპირი კონტრაქტებისაგან განცალკევებულ აღრიცხვას ექვემდებარება. ფასს 17 მოითხოვს ინფორმაციის დაწვრილებით წარმოდგენას, რაც ეხმარება მომხმარებლებს შეაფასონ კონტრაქტების ეფექტი ფინანსურ პოზიციაზე, ფინანსურ შედეგსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე.

*ფასს 17 ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია კომპანიებისათვის, რომლებიც იყენებენ ფასს 9-ს (ფინანსური ინსტრუმენტები) და ფასს 15-ს (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე. საჭიროა სრული რეტროსპექტიული მიდგომა, თუმცა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ალტერნატიული მეთოდი( როგორცაა შეცვლილი რეტროსპექტიული და სამართლიანი ღირებულების მიდგომა).*

მზღვეველს შეუძლია გამოიყენოს განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა ჯგუფებისათვის.

2018 წლის დეკემბრის სხდომაზე ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტების ასოციაციამ ხმა მისცა ფასს 17-ის ცვლილებას. რას შედეგია ასოციაციის 2018 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებასა, რომ შესთავაზოს ფასს 17-ს ძალაში შესვლის თარიღის ერთი წლით გადავადება 2022 წლამდე. შეთავაზებული ცვლილება მიზნად ისახავს უზრუნველყოს მზღვეველების დახმარება ფინანსურ ანგარიშგებაში სადაზღვევო კონტრაქტების წარდგენის პორტფელის დონეზე მოთხოვნის გზით - რაც გულისხმობს აგრეგაციის უფრო მაღალ დონეს ფასს 17-ის არსებულ მოთხოვნებთან შედარებით.

ამჟამად კომპანია ფასს 17-ის დანერგვის გეგმის განვითარების პროცესშია.

## **ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები განსაზღვრავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულების აღიარებისა და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება).

### **კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები**

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომელის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის აუქმებს არსებულ ბასს 39-ის ვადის დაფარვამდე მფლობელობაში მქონე აქტივების, სესხების, მოთხოვნებისა და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

### **ბიზნეს მოდელის შეფასება**

კომპანია პორტფელის დონეზე შეაფასებს ბიზნეს მოდელს რომელიც ფლობს ფინანსურ აქტივს, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ იმართება ბიზნესი და ხდება ინფორმაციის გადაცემა მენეჯმენტისათვის.

### **შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირისა და სარგებლის გადახდებს**

შეფასების მიზნებისათვის „ძირი თანხა“ განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარების დროს. „სარგებელი“ განისაზღვრება როგორც ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინება საკრედიტო რისკისთვის, რომელიც უკავშირდება გადაუხდელ ძირ თანხას გარკვეული პერიოდის განმავლობაში და სხვა ძირითად დაკრედიტების რისკებსა და ხარჯებს (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟას.

იმის შეფასებისას წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და საპროცენტო სარგებლის გადახდას, კომპანია განიხილავს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას იმისა, თუ რამდენად შეიცავს ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადების დრო და ოდენობა, ისე, რომ ის ვერ დააკმაყოფილებს ამ პირობას.

### **გავლენის შეფასება**

ფასს 4-ის მიერ მოთხოვნილი დამატებით შენიშვნების მომზადების მიზნით ფასს 9-ისგან დროებით გათავისუფლებული მზღვევლებისათვის კომპანიამ დაასრულა SPPI კრიტერიუმების შეფასება. შეფასებაზე დაყრდნობით SPPI კრიტერიუმები დაცულია ყველა სავალო ფინანსური აქტივის შემთხვევაში, რომლებიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას არ დაუსრულებია ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელების შეფასება. წინასწარი შეფასებით, კომპანიას ფიქრობს, რომ ახალი კლასიფიკაციის მოთხოვნები მატერიალურ გავლენას მოახდენს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

### **გაუფასურება - ფინანსური აქტივები და სახელშეკრულებო აქტივები**

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ 'განცდილი საკრედიტო ზარალის' მოდელს, მომავალზე ორიენტირებული 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' მოდელით. ეს მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე დაფუძნებულ საფუძველზე.

გაუფასურების ახალი მოდელი გამოიყენება ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისა და სახელშეკრულებო აქტივებისა.

ფასს 9-ის ფარგლებში, ზარალის რეზერვები შეფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთის საფუძველზე:

- 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც იწვევს შესაძლო დეფოლტის შემთხვევებს ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი ზარალი, რომელიც იწვევს დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ადგილი აქვს, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და თუ ამგვარ შემცირებას ადგილი არ ექნება გამოიყენება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა, თუ ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის აქტივს დაბალი საკრედიტო რისკი ახასიათებს. ამასთან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე.

ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები კომპლექსურია და მოითხოვს მენეჯმენტის მსჯელობას, შეფასებებს და მოსაზრებებს, განსაკუთრებით შემდეგ სფეროებში, რომლებიც დეტალურადაა განხილული ქვემოთ:

- შეფასება მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ; და
- მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გაერთიანება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას.

### **გავლენის შეფასება**

კომპანია მიიჩნევს, რომ გაუფასურების ზარალი სავარაუდოდ გაიზარდება და გახდება უფრო მერყევი აქტივებისათვის ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში.

### **კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები**

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

თუმცა, ბასს 39-ის ფარგლებში ვალდებულებების ცვლილების ყველა სამართლიანი ღირებულება, რომელიც მოგებაში ან ზარალში აღიარებული სამართლიანი ღირებულების სახით განისაზღვრება, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მაშინ როდესაც ფასს 9-ის საფუძველზე სამართლიანი ღირებულების ეს ცვლილებები ზოგადად შემდეგი სახით აღიარდება:

- სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული ცვლილების თანხა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას უკავშირდება, აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიან ღირებულებაში ცვლილების დარჩენილი ღირებულება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ განუსაზღვრავს რაიმე ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში აღიარებული სამართლიანი ღირებულებით და არ აქვს ამგვარი განზრახვა. კომპანიის წინასწარი შეფასება არ მიუთითებს რაიმე სახის მატერიალურ გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს.

### განმარტებითი შენიშვნები

ფასს 9 მოითხოვს უფრო დეტალურ ახალ განმარტებით შენიშვნებს, კერძოდ კი საკრედიტო რისკთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით. კომპანიის წინასწარი შეფასება მოიცავს ანალიზს მონაცემების ინტერვალების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და კომპანია გეგმავს სისტემისა და საკონტროლო მექანიზმების ცვლილებების განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნება მოთხოვნილი მონაცემების მისაღებად.

### გარდამავალი ეტაპი

ფასს 9-ის მიღებიდან გამომდინარე სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები უმეტესად მიღებული იქნება რეტროსპექტულად, გარდა ქვემოთ აღწერილის შემთხვევებისა:

- კომპანია ისარგებლებს შესაძლებლობით, არ გადახედოს შედარებით ინფორმაციას წინა პერიოდისთვის კლასიფიკაციასა და შეფასების (მათ შორის გაუფასურება) მიმართებაში. ფასს 9 -ის მიღებიდან გამომდინარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში განსხვავებები აღიარდება როგორც გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.
- შემდეგი შეფასებები უნდა გაკეთდეს იმ ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, რომლებიც არსებობს თავდაპირველ გამოყენების დღეს:
  - იმ ბიზნეს მოდელის განსაზღვრა, რომელსაც ფინანსურ აქტივი განეკუთვნება.
  - მოგებაში ან ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული კონკრეტული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღნიშვნის გაუქმება და ხელახლა აღნიშვნა;
  - კონკრეტული ინვესტიციების აღნიშვნა წილობრივ ინსტრუმენტებში რომლებიც არ არის სავაჭროდ განკუთვნილი სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც იზომება ბასს 39-ის ამორტიზებული ღირებულებით აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

### სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *ფასიკ 23 უზუსტობა საგადასახადო აღრიცხვაში;*
- ასოციაციების და ერთობლივი საწარმოების გრძელვადიანი სარგებელი (ცვლილება ბასს 28-ში);
- გემის ცვლილება, შემცირება ან გადახდა (ცვლილება ბასს 19-ში);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2015-2017 ციკლი - სხვადასხვა სტანდარტები;
- ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური ჩარჩოს შენიშვნების შესწორებები;





შპს „KPMG Georgia“  
ჯი ემ თი პლაზა  
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4  
თბილისი, საქართველო 0105  
ტელეფონი: +995 322 93 5713  
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/1/058/19

26 სექტემბერი 2019

## მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 25 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 25 სექტემბრით გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში 2019 წლის 12 მარტს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 12 მარტის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

ირინა გევორგიანი  
გარიგების პარტნიორი  
შპს „KPMG Georgia“

**მმართველობითი ანბარიშბებუ  
2018**



# ჯიკიაი ჰოლდინგის შესახებ

**№1**

სადაზღვევო  
კომპანია  
მოზიდული პრემიის  
მიხედვით

**18**

წელი  
საქართველოს  
სადაზღვევო  
ბაზარზე

**2006**

წლიდან  
ვენის სადაზღვევო  
ჯგუფის წევრი

## მისია

სელი შევუწყობთ  
პროგრესულ  
ინდივიდებს იცხოვრონ  
დაბრკოლებების გარეშე.

## სლოგანი

იმოქმედა,  
ჩვენ დაგაზღვევთ!

## ღირებულებები

თანადგომა  
პროფესიონალიზმი  
სამართლიანობა  
პროგრესი



## სერვის ატრიბუტები

- ⊕ სიზუსტა
- △ სიმარტივე
- ▨ სისწრაფა
- ☺ კომფორტი

პაატა ლომაძე,

### ჯიპიაი ჰოლდინგის გენერალური დირექტორი

პირველ რიგში, სიხარულით აღვნიშნავ, რომ 2018 წელსაც, პირველები ვიყავით ბაზარზე ბაზრის წილით და მოზიდული პრემიის მაჩვენებლით! ეს კი თითოეული იმ ადამიანის დამსახურებაა, ვინც თავდაუზოგავად შრომობდა მთელი ამ ხნის მანძილზე, თავისი დრო და ენერჯია ჩადო ჩვენს საქმეში და ამ გამორჩეულ შედეგამდე მიგვიყვანა.

წლის შეჯამება მინდა, დავიწყო ინოვაციური პროექტით, რომელიც „ვიონი საქართველო“-სთან („ბილაინი“) ერთად განვახორციელეთ - საქართველოში პირველად მოხდა სადაზღვევო მომსახურების ინტეგრაცია მობილური ოპერატორის სერვისებთან. როუმინგით მოსარგებლე ყველა ადამიანი უფასოდ მიიღებს სამოგზაურო დაზღვევას უცხოეთში გამგზავრებისას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ე.წ. პადების პროექტი - 2018 წლის ბოლოსთვის საცალო და SME პროდუქტების აბსოლუტური უმრავლესობის გაფორმება პადების საშუალებით ხდება და გაყიდვის პროცესი კლიენტთან ერთ შეხვედრაში სრულდება! გარდა ციფრული სერვისებისა აღსანიშნავია გაყიდვების დეპარტამენტში ახალი, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ცვლილებები. სრულად შეიცვალა გაყიდვების მეთოდოლოგიისა და საოპერაციო მართვის მოდელი, რომელიც უცხოური კონსულტანტის „დეველორის“ მეშვეობით განვაითარეთ და დავნერგეთ. ამ ცვლილების ძირითადი მიზანი იყო ეფექტურობის ამაღლება, რაც თითოეულ გაყიდვების თანამშრომელს, ასევე მთელ ჩვენს კომპანიას ზრდის ტემპის გაორმაგების შესაძლებლობას აძლევს.

2018 წელი შეიძლება ჩაითვალოს გარდამტეხ წლად ჩვენს სტრატეგიულ მიმართულებაში - დიჯიტალიზაციისა და პროცესების ოპტიმიზაციის მხრივ. ზემოთ აღნიშნულ პროექტებთან ერთად წინა წლებში დაწყებული მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილებები რეალურად ამოქმედდა და ნაყოფი გამოიღო 2018 წელს. ეს ჩვენი ძალისხმევა და მართლაც გამორჩეული მიღწევები ვენის სადაზღვევო ჯგუფმაც აღიარა და ივნისში მთელი ჯგუფის მასშტაბით გამართულ კონკურსში პირველი პრიზი და 250'000 ევროიანი ჯილდო მოგვანიჭა. რადგან ჯილდოებს შევეხეთ 2018 წელი სხვა აღიარებებითაც გამოირჩეოდა - დეკემბერში ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონკურსში „მელიორა“ გავიმარჯვეთ პროექტით „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა“. ამ პროგრამის მიზანი, როგორც გახსოვთ, იყო მცირე და საშუალო მეწარმეების სეგმენტში ქონების და ბიზნეს რისკების დაზღვევის პოპულარიზაცია.

კიდევ ერთი ჯილდო, რომელიც რეკლამის საერთაშორისო ფესტივალზე „AdBlackSea 2018“ მოვიპოვეთ ჩვენი სამოგზაურო დაზღვევის კამპანიისთვის. შეგახსენებთ აგვისტოს ომის 10 წლის თავზე ჯოვანი მორასთან კოლაბორაციით ათასობით ადამიანი ჩავრთეთ რუსეთის ოკუპაციის საწინააღმდეგო აქციაში.

## საქმიანობის მიმოხილვა

2018 წელი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩვენი კომპანია ბაზარზე არსებულ ტენდენციებს არათუ მიჰყვება, არამედ თავად ქმნის საიხლებს და გამუდმებით სთავაზობს მოხმარებელს ინოვაციურ მიდგომებს თუ პროდუქტებს და წამყვანი ძალაა ამ სექტორის განვითარებისა და წინსვლისთვის.

სამომავლოდ, მთელი რესურსის მობილიზება ხდება ჩვენი მთავარი დევიზის გარშემო: „იმოქმედე, ჩვენ დაგაზღვევთ!“ - რითაც მთელს საქართველოს კიდევ ერთხელ ვეუბნებით და ვაგულიანებთ, რომ დაზღვევა განვითარების და წინსვლის წინაპირობაა, ხოლო ჩვენ, მათი საიმედო პარტნიორი განვითარებისა და წინსვლის რთულ და ხშირად გაუკვალავ გზაზე. სწორედ ამ მიმართულებით ვაპირებთ ჩვენი მისიის შესრულების გზაზე სვლას.

**ჩვენ, როგორც ნომერ პირველი სადაზღვევო კომპანია ბაზარზე, კვლავაც დავრჩებით ერთ-ერთ საყრდენ ბოძად ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი თანამშრომლების, ჩვენი დაზღვეულებისა და პარტნიორებისთვის.**

## საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ლარი (000)	2018	2017
მოზიდული პრემია	<b>103,931</b>	<b>98,905</b>
ბაზრის წილი	20%	23%
უკუგება მოზიდულ პრემიაზე	6%	7%
"Combined Ratio"	94%	94%
<b>PBT</b>	<b>6,108</b>	<b>6,695</b>

2018 წელს კომპანიის მოზიდული პრემიის ზრდამ შეადგინა 5%. თითქმის უცვლელია კომპანიის წილი ბაზარზე და ასევე აღსანიშნავია „Combined Ratio“ - სტაბილური მაჩვენებელი.

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სისტემის მთავარ მიზანს წარმოადგენს კომპანიის აქციონერთა დაცვა ისეთი შემთხვევებისგან, რომლებიც ხელს უშლიან სტაბილური ფინანსური მომგებიანობის მიღწევას, ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოუყენებლობისაგან დაცვის ჩათვლით. უმაღლესი მენეჯმენტი აცნობიერებს ეფექტური და პროდუქტიული რისკების მართვის სისტემის არსებობის მნიშვნელობას კომპანიაში.

მთლიანობაში, რისკების მართვის სტრუქტურების ზედამხედველობაზე პასუხს აგებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო. კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია მნიშვნელოვანი რისკების მართვაზე, რისკების მართვის და კონტროლის პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაზე, ასევე მათ დამტკიცებაზე.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის მიერ რისკების მართვის შესახებ მოცემულია 2018 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დეტალური ინფორმაცია კომპანიის შვილობილი კომპანიების შესახებ მოცემულია 2018 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ინფორმაცია კომპანიის ბაზრის წილთან და სტატისტიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით მოპოვებულია შემდეგი საიტიდან: [insurance.gov.ge](http://insurance.gov.ge)

## ანაფინანსური ანგარიშგება

### ჩვენი ბრენდი

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ ყველაზე სანდო სადაზღვევო კომპანიაა ბაზარზე, რასაც 2018 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა ადასტურებს (ACT, 2018 წლის სადაზღვევო ბაზრის კვლევა). გამოკითხულთა უმეტესობა აცხადებს, რომ კომპანიას რამდენიმე ფაქტორის გამო ენდობიან, ეს არის: მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი შეთავაზებები, ანაზღაურების სამართლიანობა და სიზუსტე, ანაზღაურების პროცესის სიმარტივე და კომფორტულობა, მომსახურების გამართული ინფრასტრუქტურა, ინოვაციურობა და მომხმარებელთან სიახლოვე.

### ჩვენი მისია

ჩვენი მისიაა, სირთულეების გადალახვაში დაეხმაროს მათ, ვინც ვითარდება და წინ მიდის, მისცეს ძალა, რომ არ დანებდეს და მეტიც - ამ თანადგომით მისცეს მომხმარებლებს საშუალება, რომ გასცდნენ საკუთარ შესაძლებლობებს.

### ჩვენი მიდგომა

ჩვენ გვესმის, რომ დახმარების და თანადგომის ბიზნესში ვართ და შესაბამისად, ამაზე ვაგებთ მომსახურების მთელს სისტემას. ეს არის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანური მიდგომა, მომსახურება მთელი გულით. ამ სისტემით მომხმარებლებს ჩვენი სახით ჰყავს პარტნიორი და მეგობარი, რომელიც რთულ მომენტებში ეხმარება და გვერდში უდგას, რათა მათ კვლავ განაგრძონ უკეთესი მომავლისკენ იმედიანად და თავდაჯერებულად სვლა.

კარგად გვაქვს გააზრებული პასუხისმგებლობის მასშტაბი, რომელსაც ჩვენი დაპირებით ვკისრულობთ. „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ წევრობა, მათგან მიღებული ექსპერტიზა და გარანტირებული ფინანსური სტაბილურობა, ჩვენი გამოცდილება, გადაზღვევის ეფექტური

პოლიტიკა და ურყევი პოზიციები ბაზარზე გვამლევს საშუალებას გვერდში დავუდგეთ მომხმარებელს მიუხედავად სირთულის მასშტაბისა.

### **ჩვენი განვითარების მოდელი**

დაარსების დღიდან „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მამოძრავებელი იყო და არის - მუდმივი და ყოველდღიური აქცენტი განვითარებაზე. ბიზნეს პროცესების, მომსახურების სისტემების და სქემების განვითარება, ახალი შეთავაზებების შექმნა სადაზღვევო ბაზარზე. არამხოლოდ ბაზრის სხვა მოთამაშებთან, არამედ „საკუთარ თავთან“ კონკურენციაში ყოფნა არის „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ბიზნეს მოდელის ქვაკუთხედი.

ამ გზაზე სიარულს ჩვენ მომავალშიც ვაპირებთ, რის საფუძველსაც გვამლევს ბაზარზე დაგროვილი საუკეთესო კომპეტენცია, ჩვენი საერთაშორისო აქციონერის გამოცდილება და რესურსი და დაუოკებელი სურვილი, ვიყოთ წინა ხაზზე დაზღვევის, როგორც ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი კომპონენტის გავრცელებით ჩვენს ქვეყანაში.

### **დიჯიტალიზაციის სტრატეგია**

2015 წელს დავამტკიცეთ „დიჯიტალიზაციის სტრატეგია“, რაც მოიცავს კომპანიის ტექნოლოგიურ განვითარებას გრძელვადიანად ყველა მიმართულებით. ეს გულისხმობს როგორც პროცესების ოპტიმიზაციას, ისე მომსახურების გაუმჯობესებას, გაყიდვების არხების გამრავალფეროვნებას და დაზღვევის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

2018 წელს დიჯიტალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ციფრული პროექტი განხორციელდა, რაც ხელს უწყობს დაზღვევის სერვისების გამარტივებას და კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის მას მომხმარებლისთვის. აღსანიშნავია, რომ ყველა პროექტი „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების შიდა გუნდის მიერაა შექმნილი, რომელიც დაკომპლექტებულია საქართველოს ციფრული ტექნოლოგიების მოწინავე ექსპერტებით.

### **დაზღვევის ელექტრონული ბარათები**

2018 წელს ჯიპიაის ჯანმრთელობის დაზღვევის მფლობელებისთვის ამოქმედდა ელექტრონული ბარათების მომსახურების სქემა, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს მიიღოს მომსახურება პირადი ექიმის ამობეჭდილი მიმართვის გარეშე. როგორც სპეციალისტთან ვიზიტისას ისე აფთიაქში ბარათის წარდგენის საფუძველზე გადაიხადოს მხოლოდ მისი წილი. ასევე პრივილეგიურულ პროვაიდერ კლინიკებში მიიღოს მომსახურება მხოლოდ ელექტრონული ბარათის საფუძველზე, დისტანციური დადასტურების სქემით და იქაც გადაიხადოს მხოლოდ საკუთარი წილი. ეს პროექტი უზრუნველყოფს როგორც ჩვენი მომხმარებლებისთვის მარტივ, სწრაფ და კომფორტულ მომსახურებას, ასევე პარტნიორი პროვაიდერი კლინიკებისთვის და აფთიაქებისთვის თანამშრომლობის გამარტივებულ სქემებს, ამავე დროს ხელს უწყობს ბაზარზე ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას, ყველა მხარის რესურსების დაზოგვას და რაც ასევე არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქის გამოყენების მნიშვნელოვან შემცირებას.

## Sales App

ამ ახალი ეტექნოლოგიით ჯიპიაი ჰოლდინგის გაყიდვების წარმომადგენლები მარტივად და სწრაფად ემსახურებიან მომხმარებლებს - კლიენტისთვის სასურველ დროსა და ადგილას რამდენიმე წუთში სრულდება გაყიდვის პროცესი. ელექტრონულად ადგილზე ხდება როგორც დაზღვევის პირობების გენერირება, ისე პოლისის გაფორმება. მოხსნილია ბიუროკრატიული ბარიერები, რომ დაზღვევის შეძენის პროცესი კლიენტისთვის და გაყიდვის მენეჯერისთვისაც მაქსიმალურად კომფორტული, სწრაფი და მარტივი გახდეს.

## კორპორაციული პორტალი [corporate.gpih.ge](http://corporate.gpih.ge).

ეს არის დაზღვევის მართვის ყველაზე კომფორტული საშუალება ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომელსაც მხოლოდ ჩვენი კომპანია სთავაზობს კლიენტებს.


კორპორატიული ვებ პორტალის მეშვეობით კორპორაციული დაზღვევის მქონე კომპანიების წარმომადგენლებს შეუძლიათ:

- იხილონ **სადაზღვევო ხელშეკრულებების** დეტალები: სადაზღვევო პრემია, დავალიანება, გადახდის გრაფიკი და **გადახდების ისტორია**
- მიიღონ დეტალური ინფორმაცია თითოეული თანამშრომლის ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისის პირობების შესახებ: დაზღვევით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებები, **დაფარვები და ლიმიტები**
- შეიტანონ **ცვლილება** დაზღვეული თანამშრომლების პოლისის პირობებში, **გააუქმონ** არასასურველი პოლისი და **დაამატონ** ახალი თანამშრომლის დაზღვევა.
- ცვლილების მოთხოვნა განახორციელონ **სწრაფად და მარტივად** ელექტრონული განაცხადით, რომლის დიდი ნაწილი ისვება ავტომატურად
- იხილონ ინვოისები და **გადაიხადონ** დაზღვევის ღირებულება ბიზნეს საბანკო ბარათით დაზღვევის პორტალიდან გაუსვლელად. პორტალიდან გადახდილი დაზღვევის ღირებულება მყისიერად აისახება პოლისებზე

დაზღვევის ონლაინ პლატფორმის მეშვეობით დაზღვეული მართავს საკუთარი კომპანიის დაზღვევას დისტანციურად.

ასევე განვითარების ეტაპზეა რამდენიმე მნიშვნელოვანი ციფრული პროექტი, რომელიც კომპანიისთვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სამომავლოდ და ჩაეშვება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.





**ჩვენი გუნდი**

მაღალი კომპეტენციის და პროგრესული სულისკვეთების მქონე 650 თანამშრომელი ყოველდღიურად ქმნის ფასეულობას ჩვენი დაზღვეულებისთვის - 240,000 ინდივიდისა და 7,000 ორგანიზაციისთვის. განვითარებაზე ორიენტირებული და ლოიალური ადამიანები „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მთვარი კონკურენტული უპირატესობაა. არაერთი გამოკითხვით ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე სასურველი დამსაქმებელი ვართ საქართველოში. 2017 წელს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა საქართველოში“ დაგვაჯილდოვა როგორც საუკეთესო დამსაქმებელი და აღნიშნა ჩვენი წვლილის საქართველოში შრომის საუკეთესო პირობების შექმნაში.

„ჯიპიაი ჰოლდინგს“ სადაზღვევო ბაზარზე ყველაზე დიდი საცალო გაყიდვების ქსელი აქვს, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი და ლოიალური გაყიდვების მენეჯერებისა და სპეციალისტებისგან. საქართველოში არსებული 7 ფილიალის მეშვეობით კომპანია ყოველდღიურად ათასობით ადამიანსა და ორგანიზაციას ემსახურება.

## თანამშრომელთა განვითარებისა და მართვის პოლიტიკა

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ მთავარი კონკურენტული უპირატესობა მისი ინტელექტუალური რესურსი და საქართველოს დასაქმების ბაზარზე უნიკალური ექსპერტიზის მქონე თანამშრომლებია. აქედან გამომდინარე კომპანია ყოველწლიურად დიდ ყურადღებას უთმობს არსებული და ახალი თანამშრომლების სწავლასა და განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მთელი ვენის სადაზღვევო ჯგუფის მასშტაბით. ამ მხრივ გამოწვევის არც 2018 წელი იყო, წლის განმავლობაში ჩატარდა 90-მდე შიდა და გარე ტრენინგი, რომელიც მიმართული იყო როგორც უშუალო პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასევე ცალკეული ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და პიროვნულ განვითარებაზე. ვენის სადაზღვევო ჯგუფის ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 30-მდე თანამშრომელმა. აღსანიშნავია 2018 წლის სექტემბერში გამართული მობილობის პროგრამა, რომლის მასპინძელიც ჯიპიაი ჰოლდინგის ადამიანური რესურსის განვითარების დეპარტამენტი იყო - ამ პროგრამის ფარგლებში ვენის სადაზღვევო ჯგუფის 7 ქვეყნის 10 წარმომადგენელი დეტალურად გაეცნო ჯიპიაის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკას, შიდა კომუნიკაციის სისტემას და წარამტებით განხორციელებულ პროექტებს.

## მომსახურების ხარისხი

მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა „ჯიპიაი ჰოლდინგის“ პრიორიტეტია და მის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს. დაარსების დღიდან, კომპანიის პოლიტიკისთვის განმსაზღვრელი იყო და არის ისეთი სისტემების განვითარება, რაც დაზღვეულებს სწრაფ, მარტივ და ზუსტ მომსახურებას გარანტირებულად შესთავაზებდა. დღესაც კომპანიის ყველა რგოლისთვის ამოსავალი წერტილია, იფიქროს მომხმარებელზე და მათ მოლოდინს გადააჭარბოს.

ჩვენი მომსახურების ხარისხის გამჭოლი ღირებულებებია:

## სიზუსტე სინრაფე სიმართივე კომფორტი

მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად „ჯიპიაი ჰოლდინგში“ ფუნქციონირებს ხარისხის მართვის განყოფილება. მოქმედებს ასევე „კლიენტის ხმა“ - არხი, რომელიც დაზღვეულებს საშუალებას აძლევს დააფიქსიროს პრეტენზია ან რჩევა. მომსახურებაში ჩართული ყველა თანამშრომლის შეფასების სისტემა აწყობილია მოხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელზე. კმაყოფილების მაჩვენებელი 90%-ს უტოლდება და ბაზარზე საუკეთესოდ არის აღქმული როგორც დაზღვევის მომხმარებლებში, ისე არამომხმარებლებში (ACT სადაზღვევო ბაზრის კვლევა, 2018 წ.).



## კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ სოციალური პასუხისმგებლობის ამოსავალი წერტილია საიმედო და მდგრადი მომავალი შევუქმნათ ჩვენს პარტნიორებს, თანამშრომლებსა და დაზღვეულებს. ჩვენთვის დაზღვევა არის ეკონომიკური წინსვლისა და განვითარების ქვაკუთხედი - ჩვენმა სადაზღვევო მომსახურებამ საიმედო საფუძველი უნდა შეუქმნას მეწარმეებს და პოტენციურ ინვესტორებს. სწორედ ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული ყველა ჩვენი ქმედება თუ საქმიანობის პრინციპები.

ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობაც იმას ემსახურება, რომ საიმედო და მდგრადი მომავალი შევუქმნათ ჩვენს დაზღვეულებს და თანამშრომლებს, მუდმივად ვიყოთ სტაბილური პარტნიორები და გავაკეთოთ უფრო მეტი, ვიდრე გვევალება კანონდებლობით ან მიღებული სტანდარტებით.

სწორედ ამ მიდგომების კულტივირების გამო, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ მონაწილეობს ყველა იმ წამოწყებაში, რაც უკავშირდება საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას: კერძოდ, 2015 წელს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ასამდე მსხვილ კომპანიასთან ერთად საფუძველი ჩაუყარეთ „სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის კლუბის“ (CSR Club) შექმნას საქართველოში, ხოლო 2018 წელს გავხდით გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გამგეობის წევრები (<http://globalcompact.ge/>).

**სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი მიმართულებებია:** პოტენციური თუ არსებული დაზღვეულებისთვის საუკეთესო სადაზღვევო მომსახურების უზრუნველყოფა და უმაღლესი დონის კმაყოფილების მიღწევა; თანამშრომლებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა მათი განვითარების მიზნით და საუკეთესო სამუშაო გარემოს შექმნა მოტივირებული ადამიანების შესანარჩუნებლად; ჯანსაღი გარემოზე ზრუნვა - კერძოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება და უსაფრთხო სატრანსპორტო პოლიტიკის ადვოკატირება.

## 2018 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი განვახორციელეთ:

### ანტისაოკუპაციო კამპანია

აგვისტოს ომის 10 წლის თავს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი ანტიოკუპაციური კამპანიით გამოეხმაურა. 8 აგვისტოს, საიტზე [www.mygpi.ge](http://www.mygpi.ge) სამოგზაურო დაზღვევის შეძენის ველში გაჩნდა მოსანიშნი გრაფა წარწერით „ვადასტურებ, რომ რუსეთი ოკუპანტია და მზად ვარ, ამის შესახებ მსოფლიოს გავაგებინო“, მათ ვინც გრაფა მონიშნა ჯიპიაისგან საჩუქრად ჯოვანი მორას პასპორტის ჩასადები ერგო, ანტიოკუპაციური მესიჯით.

## არაფინანსური ანგარიშგება

"დღეს აგვისტოს ომიდან 10 წელი გავიდა, ჩვენი ქვეყნის 20% კვლავ რუსეთის მიერაა ოკუპირებული. ამიტომ გადავწყვიტეთ ამ მესიჯის გავრცელებაში ჩვენც დაგეხმაროთ, რადგან გვჯერა - ერთად გაცილებით მეტს შევძლებთ. ამიერიდან, ყოველთვის როცა უცხო ქვეყნის გადაკვეთისას მესაზღვრეს პასპორტს მიაწვდი, შენი საპასპორტე სათქმელს შენ მაგივრად იტყვის.

ოკუპაციასთან ბრძოლა ინფორმაციით გავრცელებითაცაა შესაძლებელი!" - მიმართავდა ჯიპიანი ჰოლდინგი მომხმარებელს.

ანტიოკუპაციურმა კამპანიამ Ad Black Sea-ს საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კატეგორიაში ბრინჯაო მოიპოვა. ფესტივალზე წელს პირველად Digital & Mobile შორტლისტში ჯიპიანის ჰოლდინგის რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლის თავთან დაკავშირებული ანტიოკუპაციური კამპანია მოხვდა, რაც ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული პროექტი აღმოჩნდა ოკუპაციის თემაზე. სწორედ ამიტომ კამპანიამ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კატეგორიაზე 7 პროექტს გაუწია კონკურენცია და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

### საქართველოს არქიტექტურული გამოფენა ვენაში

ვენაში, „რინგტურმის“ საგამოფენო სივრცეში, „ჯიპიანი ჰოლდინგისა“ და „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ ორგანიზებით საქართველოს არქიტექტურული გამოფენა გაიმართა. ღონისძიების მიზანი საქართველოს, როგორც არქიტექტურულად მდიდარი და მრავალფეროვანი ქვეყნის, ფართო საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობა იყო. გამოფენაზე საქართველოს ხუთ ქალაქში არსებული მნიშვნელოვანი და გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობების ფოტოები იყო წარმოდგენილი.

გამოფენისთვის თბილისში, გორში, ქუთაისში, წყალტუბოსა და ბათუმში არსებული მე-20-ე საუკუნის არქიტექტურის გამორჩეული შენობები შეირჩა. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა ენახა საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენებული არქიტექტურულად ღირებული

ნაგებობები, რომლებიც სიდიდით, დიზაინითა და გამოყენებული მასალებით, საკუთარ დამოუკიდებელი განვითარების ისტორიას ყვებიან; ასევე უახლესი წარსულის, თანამედროვე არქიტექტურის შენობები და მიმდინარე პროექტები.

### CSR ჯილდო - 'Meliora 2018'

„ჯიპიანი ჰოლდინგი“ საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის 'Meliora 2018' ჯილდოს მფლობელი გახდა. ჯიპიანის განხორციელებული მცირე და საშუალო მეწარმეთა

## არაფინანსური ანგარიშგება

მხარდაჭერის პროგრამა, სპეციალურად მოწვეულმა, საერთაშორისო ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია და კატეგორიაში, წლის კეთილსინდისიერი საქმიანობა ბაზარზე, პირველი ადგილი დაიკავა.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა არის სოციალური პროექტი, რომელიც „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ინიციატივით შემუშავდა, იგი ორიენტირებულია მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების ხელშეწყობაზე.

პროექტის მიზანია, ზოგადად, დაზღვევის, როგორც ფინანსური თავდაცვის მექანიზმის პოპულარიზება და მეწარმეთა ჩართვა სადაზღვევო სისტემაში. პროგრამაში ჩართულ მეწარმეებს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ თავად უფინანსებდა დაზღვევის ღირებულების 50%-ს და ამასთან, სთავაზობდა მათ ტრენინგების სერიას მენეჯმენტის სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა გაყიდვების მართვა, რისკების მართვა და ა.შ. პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ასევე მობილური ჯგუფები, რომელთა მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება ბიზნეს რისკების დაზღვევის თაობაზე.

### ვენის სადაზღვევო ჯგუფის სპეციალური ჯილდო

ჯიპიაი ჰოლდინგი 2017 წელს განხორციელებული დასაქმების პროექტისთვის ვენის სადაზღვევო ჯგუფის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა და პროექტის განვითარებისთვის 50 000 ევრო გადაეცა. პრიზი კომპანიას CSR აქტივობისთვის ვენის სადაზღვევო ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა მარტინ სიმჰანდლმა და CSR პროექტების დირექტორმა ბარბარა გროშნიგმა გადასცეს.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ყველაზე მსხვილი სადაზღვევო ჯგუფია CSR მიმართულების განვითარებაზე წვერი კომპანიების მასშტაბით აქტიურად მუშაობს - ხელს უწყობს და ახალისებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების დანერგვასა და განხორციელებას. სპეციალური ჯილდოს CSR აქტივობებისთვის ჯგუფი 2012 წლიდან გადასცემს გამორჩეულ პროექტებს.

საპატიო ჯილდო ჯიპიაი ჰოლდინგმა ქალთა გამლიერების კუთხით განხორციელებული მასშტაბური დასაქმების პროექტისთვის მიიღო. პროექტის შედეგად კომპანიაში 600 ადამიანი დასაქმდა, მათ შორის 80% 25 წელს ზემოთ ქალია.

ჯიპიაი ამავე პროექტით ათასწლეულის განვითარების ფონდის კონკურსის გამარჯვებული და ყოვეწლიური ჯილდოს „ბიზნესი გენდერული თანასწორობისთვის“ პრიზის მფლობელი გახდა.

### **კომპანია „სუფთა ჰაერისთვის“**

ჯიპიაი ჰოლდინგი შეუერთდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ მიერ ორგანიზებულ კომპანიას „სუფთა ჰაერისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს კერძო სექტორის ჩართულობას ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიმართულ კამპანიებში და საზოგადოებაში ამ მხრივ ცნობიერების ამაღლებას. სწორედ ამ მიზნების განხორციელებისათვის გაერთიანდა კერძო სექტორი და 12 აპრილს კომპანიის ოფიციალური გახსნაზე ჯიპიაიმ 20 კომპანიასთან ერთად მემორანდუმს მოაწერა ხელი.

კომპანიის ფარგლებში განახლდა ვებგვერდი [www.ecoist.ge](http://www.ecoist.ge), სადაც მომხმარებლებს შეეძლოთ გამოეთვალათ რამდენად ეკომეგობრული იყო მათი ავტომობილი. მან, ვინც ონლაინ შეიძენა ავტოდაზღვევა ისარგებლა 20%-იანი ფასდაკლებით, მათ სახელზე კი ბორჯომში ტყე-პარკში დაირგო ხეები.

-----

**პაატა ლომაძე**

**გენერალური დირექტორი**

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

25 სექტემბერი 2019

**კამპანია „სუფთა ჰაერისთვის“**

ჯიპიაი ჰოლდინგი შეუერთდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ მიერ ორგანიზებულ კამპანიას „სუფთა ჰაერისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს კერძო სექტორის ჩართულობას ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მიმართულ კამპანიებში და საზოგადოებაში ამ მხრივ ცნობიერების ამაღლებას. სწორედ ამ მიზნების განხორციელებისათვის გაერთიანდა კერძო სექტორი და 12 აპრილს კამპანიის ოფიციალური გახსნაზე ჯიპიაიმ 20 კომპანიასთან ერთად მემორანდუმს მოაწერა ხელი.

კამპანიის ფარგლებში განახლდა ვებგვერდი [www.ecoist.ge](http://www.ecoist.ge), სადაც მომხმარებლებს შეეძლოთ გამოეთვალათ რამდენად ეკომეგობრული იყო მათი ავტომობილი. მან, ვინც ონლაინ შეიძენა ავტოდაზღვევა ისარგებლა 20%-იანი ფასდაკლებით, მათ სახელზე კი ბორჯომში ტყე-პარკში დაირგო ხეები.



**პაატა ლომაძე**

**გენერალური დირექტორი**

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

25 სექტემბერი 2019